პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 დეკემბერი ოთხშაბათი 1973 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 300 (15817)

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ, ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘ — ᲣᲙᲝᲜᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲙᲔᲜ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ 1973 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲓᲔᲓᲝᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს, ვადამდე, 25 დეკემბერს, ვალდებულებებით დასახულზე ერთი დღით ადრე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების 1973 წლის გეგმა.

წლის დამლეკამდე მრეწველობა გეგმის გადაჭარბებით კიდევ გამოუშვებს ასობით მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქციას.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა დადგენილი გეგმის ზევით პროდუქციის მატების გადიდების ვალდებულება; წარმოების მოცულობა წლის განმავლობაში გაიზრდება 6,5 პროცენტით. პროდუქციის გამოშვების მთელი ზრდა მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. გაიზარდა სამრეწველო წარმოების რენტაბელობა, გადაჭარბებით შესრულდა მოგების დადგენილი გეგმა.

გეგმაზომიერად ხორციელდებოდა ქარხნებისა და ფაბრიკების რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებანი.

დიდი მუშაობა განხორციელდა თანამედროვე ნიმუშის მანქანების, ხელსაწყოების, მასალების, სახალხო მოხმარების საქონლის შექმნისა და წარმოების ათვისებისათვის, არსებითად ამაღლდა ბევრი სახეობის პროდუქციის ტექნიკური დონე და გაუმჯობესდა ხარისხი; მოსკოვის საწარმოთა 880 საწარმს მიმდინარე წელს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს გაერთიანებებმა „მოსავტოზილის“, „ავტომოსკვიჩის“, „მელნის“, ქარხნების „დინამოს“, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ავტომატური ხაზების, „კომპრესორის“, პირველი საკისრის, პირველი და მეორე საათის, კომბინატ „კრასნაია როზას“, პეტრე ალექსეევის სახელობის ფაბრიკის და ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

მოსკოველი მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებმა, და ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დასახული ამოცანებით, ყოველმხრივ ემზადებიან 1974 წელს გამართული მუშაობისათვის, კისრულობენ შემხვედრ გეგმებს, ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲯᲐᲛᲝᲗ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲒᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘᲡ რამდენიმე ფურცელი შერჩა. იგი ყველას აუწყებს, რომ მეცხრე ხუთწლედის მეხამე გადამწყვეტი წელი მიიწურა და სტარტზე დგას ახალი, 1974 წელი. მომდინარე წელი ნამდვილად ეამაყებათ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს. მოპოვებულია გარკვეული, სერიოზული წარმატებანი. ახალ წელს უპატაკებენ, ანგარიშს აბარებენ სოფლის მშრომელები, რომლებმაც სამშობლოს გეგმისა და ვალდებულების გადამეტებით მისცეს ათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მარცვლეული, ხილი, შაქრის ჭარხალი, მეცხოველეობის პროდუქტები.

ეს წარმატებანი მოპოვებულია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის თავდადებული შრომის შედეგად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ ერთ წელიწადში განხორციელებულ ღონისძიებათა მეოხებით, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებით, წლების განძილზე გამეფებული თვითდამშვიდების, მაამებლობის, დანაშაულობათა, დარღვევათა აღმოსაფხვრელად გაწეული პრინციპული ბრძოლით.

ახლა სოფლის მეურნეობის მშრომელებს დიდი პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ. ეხინი აჯამებენ 1973 წლის შედეგებს. ამ საქმის შესრულება დიდად არის დამოკიდებული ინვენტარიზაციაზე, რომელსაც კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის მუშაობის ხარკეს უწოდებენ. დროულად ჩატარებულ ინვენტარიზაციაზე დამოკიდებული სწორად და ხარისხიანად შედგეს მეურნეობის წლიური ანგარიშები. იგი გამოავლენს წარმოებაში ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებს და განსაზღვრავს 1974 წლის ამოცანათა დაგეგმვას.

ინვენტარიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრების ზუსტად აღრიცხვას, დაუმთავრებელი წარმოების ნატურაში შემოწმებას. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მრავალწლიანი ნარგავების შემოწმება, სიმჭიდროის გამოვლინება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, მასალების, მთელი ანგარიშსწორების შემოწმება. ყველაფერი ეს უნდა მოხდეს 1974 წლის 1 იანვრამდე, ხოლო ინვენტარიზაციის შედეგების განხილვა-დამტკიცება, საბუღალტრო-ანგარიშებში ასახვა ყველგან 10 იანვრამდე უნდა დამთავრდეს.

ყველაფერი ეს მტკიცე საფუძველს წარმოადგენს კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში საანგარიშო და საანგარიშო-სარჩევნო კრებების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. ამ კრებებზე, ფართო გზა უნდა დავუთმოთ პირუთვნელ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, გამოვავლინოთ არსებული ნაკლოვანებანი, დავსახოთ ქმედითი ღონისძიებანი 1974 წელს უფრო მეტი წარმატებების მოპოვებისათვის. ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვას.

სამეუნარო ფაქტების წინაშე ფაილის დახუმვა ზიანის მეტს ვერაფერს მოგვიტანს. საქართველოში რენტაბელურ მეურნეობათა შორის კვლავ ბევრია ზარალიანი, მცირეძალოვანი მეურნეობა. მართალია, უკანასკნელ წლებში განხორციელდა მცირეძალოვანი კოლმეურნეობების გაერთიანება, საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნა, მაგრამ ჩანს, რომ ეს ღონისძიება საკმარისი არ აღმოჩნდა. ამის შედეგად განსაკუთრებით მთიან ზონაში — შუახევის, ხულოს, ქედის, ოზის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ბორჯომის, დმანისის რაიონებში ბევრია მცირეძალოვანი კოლმეურნეობა და ზოგიერთ მათგანს რელიეფური პირობების გამო ერთი ტრაქტორიც კი არა აქვს. კვლავაც მაღალია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. ამ საკითხებზე ქმედითი და ყოველმხრივი დასკვნები უნდა გააკეთონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

ინვენტარიზაციისა და წლიური ანგარიშების შედგენა მეურნეობათა ხელმძღვანელებს, საანგარიშო დარგის მუშაკების პასუხსაგები, სისინდისიერი საქმეა. არ უნდა გამეორდეს გასული წლების ზოგიერთი სერიოზული შეცდომა. მაგალითისათვის დავახასიათებთ ფაქტებს: გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის კოლმეურნეობაში 1973 წლის 1 იანვრისათვის სალაროში რიცხული ნაშთიდან ყალბი უწყისებით ჩამოწერეს ათი ათას მანეთზე მეტი. ზოგან ადგილი ჰქონდა ფულისა და მასალების უკანონოდ გაცემას. ცხინვალის რაიონის ქსუისის კოლმეურნეობაში 1972 წელს თვით სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ი. ბესაევს მისცეს 450 კილოგრამი თუნუქი. მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა ონის, ადიგენის, ჩოხატაურის, ცაგერის და მთელ რიგ სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

ამ დღეებში გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი, ახალი აღმავლობის მისაღწევად. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა დროა წვრილი ფერმებიდან და ბრიგადებიდან თანდათან გადავიდეთ მსხვილ სპეციალიზებულ წარმოებაზე ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით. საქმე წარმართოთ რაციონალურად, ეკონომიკის ღრმა ცოდნით, გავითვალისწინოთ 1974 წელს დასახული ღონისძიებათა ყველა მხარე და მოსალოდნელი შედეგიც.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს მომავალი წლის მუშაობის პროგრამა დაუსახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ. საკმარისია ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის 1974 წელს გამოყოფილია 251,4 მილიონი მანეთი. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება მიღწეულ უნდა იქნას ძირითადად მოსავლიანობის ზრდის, საერთო ფართობების გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ხარჯზე. მაღალნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ სარწყავი მიწები. ამისათვის საჭიროა სრულ წესრიგში მოვიყვანოთ მთელი სარწყავი სისტემა. ეს კი მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას ავალებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და მის სახსტემო ორგანიზაციებს.

ხეროზულ დაფიქრებას მოითხოვს საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის უზრუნველყოფის საკითხები. როდემდის უნდა გვაკადეს ზარალიანი საბჭოთა მეურნეობები? 1973 წელს რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების 35 პროცენტი თორმეტი მილიონი მანეთი ზარალით ამთავრებს.

საბჭოთა 1974 წელს ყველა საბჭოთა მეურნეობა გადაყვანილ იქნას სრულ სამეურნეო ანგარიშზე და მივაღწიოთ იმას, რომ მოგებიანში ზარალიანი არ იყოს არცერთი საბჭოთა მეურნეობა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ 1973 წელს გაწეული მუშაობის ზუსტად შეჯამება, 1974 წლის მუშაობის სწორი პროგრამის შედგენა, გაზაფხულისთვის სანიმუშოდ მოამზადება, ახალი შემხვედრი გეგმები და მათი განხორციელებისათვის მუდმივი ზრუნვა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხადღეისო საბრძოლო ამოცანაა.

ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲒᲔᲒᲛᲐᲪ, ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲪ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲫᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲐ, მაგრამ სოფლად სამუშაოს რა გამოლევს. თერჯოლის რაიონის სარემონტო სახელოსნოებში ზეინკლები, ხარატები მთელი ძალღონით მუშაობენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ხუთწლედის მეოთხე წლის გაზაფხულს, რემონტს უკეთებენ ტრაქტორებს, გუთნებსა და სხვა ტექნიკას.

თერჯოლელებმა საგარეჯოელ მექანიზატორთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად იკისრეს მთელი რიგი ახალი გადიდებული ვალდებულებანი. მათ შორის მიმდინარე წლის ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა შეესრულებინათ 30 დეკემბრისათვის — შეეკეთებინათ 11 ტრაქტორი. ეს პირობა უკვე შესასრულს. შეაკეთეს 12 ტრაქტორი, ასევე გადაჭარბებით გაანაღდეს გუთნების, სათესების რემონტის გეგმა. ახლა 1974 წლის პირველი კვარტალის ანგარიშში მუშაობენ. მათი გადაწყვეტილებაა 1974 წლის 1 მარტამდე შეასრულონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 1974 წლის 1 კვარტალის რემონტის გეგმები. შეკეთდება 28 ტრაქტორი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25-სა, 35 სატრაქტორო გუთანი ნაცვლად 32-სა.

კოლმეურნეობებში მომზადებული იქნება 10 ტრაქტორისტი, ხოლო სოფლტექნიკის თერჯოლის რაიონულ გაერთიანებაში მოკლევადიან სატრაქტორო კურსებზე — 20 კაცი.

Თ. ᲙᲣᲗᲐᲚᲐᲫᲔ.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲔᲚ ᲛᲔᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ რაიონის მშრომელები — ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის შეჯიბრების ინიციატორები, პირნათლად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. მათ სახელმწიფოსთვის თამბაქოს მიყიდვის წლიური გეგმა 23 დეკემბრისათვის შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებული 3.950 ტონის ნაცვლად დაამზადეს 3.960 ტონა თამბაქო. საფერმენტაციო ქარხანა კვლავ იღებს თამბაქოს ახალ პარტიებს. ლაგოდეხელებს საქმე იქითკენ მიჰყავთ, რომ დამზადონ კიდევ 250 ტონა თამბაქო და ამით შეასრულონ ვალდებულება.

წარმატება მიღწეულია თავდადებული შრომით, აგროტექნიკის მოთხოვნათა გულმოდგინე შესრულებით. კოლმეურნეობებმა გამოიყენეს ჯანსაღი ჩითილი, თავის დროზე გადარგეს იგი ღია გრუნტში, მზრუნველობით უვლიდნენ მცენარეებს. თამბაქოს ფოთლების შეტეხას მაშინ შეუდგნენ, როცა მიღწეული იყო მათი ტექნიკური სიმწიფე.

თამბაქოს მოსავალმა ყველგან გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს. განსაკუთრებით გამოირჩინა თავი ქალაქ ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ე. დუკმასოვი), სადაც უკვე მიჰყიდეს სახელმწიფოს 304,5 ტონა თამბაქო, დავალებაზე 44,5 ტონით მეტი. ბუნდა მაჩვენებლებს მიაღწია სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველომაც“ (თავმჯდომარე ა. ჯინჭველაშვილი), რომელმაც 320 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 343 ტონა თამბაქო. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებანი ბაკურიანის სახელობის, ხეთაგუროვის სახელობის, გორკის სახელობის, გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობებმა, „ლენინის ანდერძმა“, „დრუჟბამ“ და სხვა კოლმეურნეობებმა. (საქინფორმი).

ᲡᲣᲗᲤᲚᲔᲓᲘᲡ ᲖᲚᲣᲓᲔ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ხარატები თენგიზ გელაშვილი და ვანო წიკლაური პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობენ. ყოველივე ამას მათ თავდადებული შრომით მიაღწიეს.

კალენდარზე ჯერ კიდევ 1973 წელია, მოწინავე მუშებმა კი უკვე შეასრულეს პირადი ხუთწლიანი გეგმა და მეათე ხუთწლედის ანგარიში გახსნეს.

სურათზე: მოწინავე ხარატები ვ. წიკლაური (მარცხნივ) და თ. გელაშვილი.

Ყ. ᲯᲐᲡᲠᲐᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1973 წლის 18-დან 24 დეკემბრამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამხრეთ ვიეტნამის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი ნგუენ ჰიუ თხო.

ვიზიტის დროს დოქტორი ნგუენ ჰიუ თხო მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

სსრ კავშირში ყოფნის დროს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ გვირვინებით შეამკო ვ. ი. ლენინის მაუზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი, ეწვია მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხანას, სადაც მონაწილეობდა ქალაქ მოსკოვის მშრომელებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიტინგში, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტს, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის მე-13 წლისთავსა და სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტებთან სოლიდარობის კვირეულის დაწყებას. დოქტორ ნგუენ ჰიუ თხომ, დელეგაციის წევრებმა და თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს საბჭოთა დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი. სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ იმოგზაურა სომხეთის სს რესპუბლიკაში, გაეცნო სომეხი ხალხის ცხოვრებასა და აღმშენებლობითს შრომას.

საბჭოთა ადამიანები სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციას ყველგან მხურვალედ ხვდებოდნენ, რაც გმირ ვიეტნამთან საბჭოთა ქვეყნის ძმური მეგობრობისა და მტკიცე სოლიდარობის გამოხატულება იყო. სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ გულწრფელი მადლობა გამოთქვა ამ გულითადი მასპინძლობისათვის.

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორ ნგუენ ჰიუ თხოს მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ს. ს. ნიმჩინა;

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მხრივ — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ თხი ბინი, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლე კუანგ ტიანი, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნგუენ ვან ხიანი, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი პო სანან სონი, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე განყოფილების გამგე ნგუენ ნიუ.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითადი მეგობრობის, გულახდილობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, საბჭოთა მხარემ გააცნო სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარება, ფართო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომლითაც საბჭოთა ადამიანები მუშაობენ, მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის წარმატებით დამთავრება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებულ სესიაზე მიღებული 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითადი ამოცანები. სამხრეთ ვიეტნამის დელეგაცია გაეცნო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის შესაბამისად.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ დაამოწმა სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის ღრმა მეგობრული გრძნობები საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა ქვეყნისადმი, ლენინისადმი და დიდი ოქტომბრის რევოლუციის სამშობლოსადმი, რომელმაც ჩაგრულ ხალხებს დაუსახა განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზა.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ გამოთქვა აღტაცება და მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ შესანიშნავ გამარჯვებებს გმირი საბჭოთა ქვეყნის მშენებლობისა და დაცვის, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვის საქმეში, ფაშიზმისაგან კაცობრიობის ხსნაში.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე საბჭოთა ხალხი ავითარებდა რევოლუციური ბრძოლის, გმირული და შემოქმედებითი შრომის ტრადიციებს და საბჭოთა კავშირი გადაქცია მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს თანამედროვე მეგზველობა და სოფლის მეურნეობა, მძლავრი თავდაცვა, მოწინავე მეცნიერება და ტექნიკა, რომელთაც დასაბამი მისცა კაცობრიობის საკეთილდღეოდ კოსმოსის ათვისების ერას. განუხრელად იზრდება საბჭოთა ადამიანების სულიერი და მატერიალური ცხოვრების დონე. განუწყვეტლივ მტკიცდება საბჭოთა კავშირის როლი და პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე. თავისი თვალსაჩინო მიღწევებით საბჭოთა კავშირმა დიდნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხთა რევოლუციური ბრძოლის საქმეში.

სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობას ახარებს საბჭოთა ხალხის გამარჯვებანი და გულწრფელად უსურვებს მას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიოს ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მეცხრე ხუთწლედისა ვიეტნამში შესრულების საქმეში. ამ გეგმის შესრულება უეჭველია ხელს შეუწყობს სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერების, მშვიდობისა და პროგრესის ძალების შემდგომ განმტკიცებას, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის შთამაგონებელი სტიმული გახდება.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ დააფასა ტურ, რომ სამხრეთვიეტნამელი ხალხის გამარჯვებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული სსრ კავშირის სხვა სოციალისტურ ქვეყნებისა და მთელ მსოფლიოში ვიეტნამის მეგობრების მხარდაჭერასა და დახმარებასთან.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ საბჭოთა მხარეს გააცნო სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობა, ამოცანები ახალ ეტაპზე, რომელიც დასახა ვიეტნამელი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ — ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმების ხელმოწერამ, ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის ზუსტი შესრულების უზრუნველყოფისათვის სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ღონისძიებები, აგრეთვე განთავისუფლებული რაიონების ეკონომიური აღდგენისა და ყოველნაირი განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობა. აღინიშნა, რომ საიგონის ადმინისტრაცია, რომელსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, არ ასრულებს პარიზის შეთანხმების ძირითად დებულებებს, განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს განთავისუფლებული რაიონების წინააღმდეგ, ხელს უშლის ნამდვილი მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის მიღწევას. ყოველივე ამან ჯაბმწავა მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში. სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამხილოს და საჯაჯურისი პასუხი გასცეს საიგონის ადმინისტრაციის ყოველ პროვოკაციას სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებული რაიონების წინააღმდეგ.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ კვლავ დაადასტურა, რომ უცვლელია სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ვიეტნამის შესახებ პარიზის შეთანხმების სრულ პატივისცემასა და განუხრელ შესრულებას, და გადაჭრით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და საიგონის ადმინისტრაცია ასევე მოიქცნენ.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲓᲐᲙᲥᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-8 ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და პირადად ჩემი სახელით, მივესალმები დამმობილებული ქალაქების VIII მსოფლიო კონგრესის დელეგატებსა და მონაწილეებს.

თქვენი კონგრესი შეიკრიბა იმ დროს, როცა საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეულია პოზიტიური ძვრები დაძაბულობის შენელების, ქვეყნებსა და ხალხებს შორის მშვიდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების სასარგებლოდ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირსა და ყველა საბჭოთა ადამიანს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამით, კონსტრუქციული წვლილი შეაქვთ ამ ქვეყნიერებიერულ საქმეში და ცდილობენ, რომ საერთაშორისო კლიმატის დაწყებულ გაჯანსაღებას შეუქცევადი ხასიათი მიეცეს.

მაგრამ მუდამ უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ მოქმედებენ ძალები, რომლებიც ცდილობენ განაზორიელონ აგრესიის, გაძალებული შეიარაღების, კოლონიალიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა, დაიბრუნონ „ცივი ომის“ შავბნელი დრო. ამიტომ საჭიროა როგორც ფთავრობები, ისე ადამიანი ყველა ხალხმა გაძლიერონ მოქმედება ქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

მშვიდობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესის პრობლემათა გადაჭრაში უდიდეს როლს ასრულებენ და კიდევაც უნდა ასრულებდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი მოძრაობანი. ამასთან დაკავშირებით დიდი კმაყოფილებით შეიძლება, მაგალითად, აღინიშნოს შედეგები მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესისა, რომელიც მიმდინარე წელს გაიმართა მოსკოვში.

ჩვენს ქვეყანაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებს შორის კავშირურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებას. დამმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაცია, რომლის საქმიანობაში მონაწილეობენ საბჭოთა ქალაქები, სასარგებლო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ხალხთა შორის მეგობრობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების, ინტერესებისათვის.

ნება მიბოძეთ წარმატება ვუსურვო დამმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედ

პარტიული კონფერენციები

გაიმართა გორის რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელმაც განიხილა საანგარიშო მოხსენებანი პარტიის რაიკომისა და რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ნ. ბ. ჩერქეზიშვილმა.

გაიმართა პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ჯ. ი. პატიაშვილი, მეორე მდივნად — შ. გ. ლოლაძე, მდივნად — ა. ი. კავსაძე.

გაიმართა ზესტაფონის რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელმაც განიხილა საანგარიშო მოხსენებანი პარტიის რაიკომისა და რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ზენტარალური კომიტეტის ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ზენტარალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ დ. ვ. ბელაშვილმა.

გაიმართა ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ზენტარეთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ბ. ბ. მერკვილაძე, მეორე მდივნად — ბ. ა. ბოგომოლოვი, მდივნად — გ. დ. ძაბირაძე.

უვარლის რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ განიხილა საანგარიშო მოხსენებანი პარტიის რაიკომისა და რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ შ. ხ. დღლაშვილმა.

გაიმართა ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ა. მ. დავითაშვილი, მეორე მდივნად — შ. ხ. იმერლიშვილი, მდივნად — რ. ა. სესიაშვილი.

გაიმართა ქობულეთის რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელმაც განიხილა საანგარიშო მოხსენებანი პარტიის რაიკომის, რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისტა ბ. ა. ბერიასაშვილი, მდივნად — ბ. ბ. შიხაშვილი.

გაიმართა სოხუმის რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა საანგარიშო მოხსენებანი პარტიის რაიკომის, რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია გააკეთა აფხაზეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. ე. შარმანავამ.

გაიმართა ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ბ. ა. გვარამია, მეორე მდივნად — ვ. ი. ერქვანია, მდივნად — შ. ა. შულაია. (საქინფორმი).

ერთიანი კომუნიკე

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციის საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები

(დასასრული).

საბჭოთა მხარემ გამოთქვა აღტაცება ვიეტნამელი ხალხის გმირობის, საშინაო ომში მისი დიდი გამარჯვების გამო. ეს გამარჯვება მეტეორიტულად მოწმობს ვიეტნამის შვილების უდიდეს თავდადებას, ამტანობასა და ვაჟკაცობას იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პარიზის შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის მესახეს, აგრეთვე ვიეტნამ-ამერიკის 1973 წლის 13 ივნისის ერთობლივი კომუნიკე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიდი მიღწევაა, ვიეტნამელი ხალხის დიდი გმირობის შედეგი, სოციალისტური ქვეყნების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მთელი პროგრესული კაცობრიობის საერთო გამარჯვებაა.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია პარიზის შეთანხმების რეალიზაცია, სამართლიანი მშვიდობის მიღწევა ვიეტნამში, სამხრეთ ვიეტნამის განვითარება მშვიდობის, დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და ნეიტრალიტეტის, ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისაკენ წინსვლის გზით. საბჭოთა კავშირი გადაჭრით გმობს საიგონის რეჟიმს, რომელიც ეყრდნობა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას და უხეშად, სისტემატურად არღვევს პარიზის შეთანხმებას, და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს დარღვევანი, რადგან ამ შეთანხმების ყველა დებულების უთუო შესრულება მიაჩნია ვიეტნამში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარების მთავარ პირობად.

ვიეტნამელი ერის დიდი ბელადის პრეზიდენტ ხო ში მინის ანდერძისა და სამხრეთვიეტნამელი ხალხის სანუკვარი მისწრაფების შესაბამისად სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის მეოთი მოსახლეობის სახელით გულწრფელი, ღრმა მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირს უმაღლეს საბჭოს, საბჭოთა მთავრობას და მთელ საბჭოთა ხალხს ვიეტნამისადმი დიდი, ძვირფასი და ეფექტიანი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, დიდმნიშვნელოვანი წვლილისათვის, რომელიც შეიტანეს ვიეტნამელი ხალხის მიერ მოპოვებულ მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვებაში.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ კვლავაც ყოველნაირად განავითარებს მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრომლობას სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციურ მთავრობასთან, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის ეროვნული ინტერესების ერთადერთ მეშვეობრივ წარმომადგენლებად მიაჩნია.

მხარეებმა ამაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ 1973 წლის 21 თებერვალს ვიეტნამში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ლაოსში მშვიდობის აღდგენისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ, აგრეთვე ამ შეთანხმების 1973 წლის 14 სექტემბრის ოქმს. ეს დოკუმენტები სახავენ რეალურ გზას, რათა განხორციელდეს ლაოსელი ხალხის მისწრაფება — აამენოს მშვიდობიანი, დამოუკიდებელი, ნეიტრალური, დემოკრატიული ლაოსი.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განუხრელი სოლიდარობით ეკიდებიან კამბოჯელ პატრიოტებს, რომლებიც კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტისა და ეროვნული ერთიანობის სამეფო მთავრობის ხელმძღვანელობით წარმატებით ეწევიან სამართლიან ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სსრ კავშირსა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკას მიაჩნიათ, რომ კამბოჯის პრობლემა კამბოჯელმა ხალხმა უნდა გადაჭრას უცხოეთის ჩაურევლად.

საერთაშორისო საკითხების განხილვისას სსრ კავშირისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციებმა დაადასტურეს, რომ მსოფლიოს ძალთა ახალი თანაფარდობა მსოფლიოში, სოციალისტური სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განუწყვეტელი ზრდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა და იმპერიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის გაძლიერება ხელშეწყობ წანამძღვრებს უქმნიან ხალხთა წარმატებულ ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის. აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის საერთო საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი ისტორიული გამარჯვებით ვიეტნამელმა ხალხმა, რომელმაც იმპერიალისტური აგრესია მოიგერია.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციამ მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია განმტკიცდეს მთელი მსოფლიოს მშვიდობა და უშიშროება, აქტიურად დაეჭიროს მხარი იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ხალხებს.

მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით შექმნილს დასავლეთი ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

განიხილეს რა ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობა, მხარეებმა ამაყოფილებით აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მეგობრობა და თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში. განიხილეს სსრ კავშირისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხები. მხარეებმა, კერძოდ, დათქვეს გააფართოონ კონტაქტები სხვადასხვა დონეზე, აწარმოონ რეგულარული კონსულტაციები და აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკიდებზე. საბჭოთა კავშირისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის შეთანხმება საბჭოთა კავშირის მიერ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკისათვის ეკონომიური დახმარების გაწევის შესახებ მეგობრული ურთიერთობის მკაფიო გამოხატულებაა. ორივე მხარე გამოთქვამს გულწრფელ სურვილს განგრძონ და განავითარონ ეს ძმური მეგობრობის ურთიერთობა, განმტკიცონ და სრულყონ თავიანთი კავშირურთიერთობა.

მხარეები გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სსრ კავშირში სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის დოქტორ ნგუენ ჰაუ ხოს მეთაურობით და მოლაპარაკების შედეგები მოასწავებენ ახალ ეტაპს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის განმტკიცებაში, საბჭოთა და ვიეტნამელ ხალხთა ყოველმხრივი კავშირურთიერთობისა და მჭიდრო თანამშრომლობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებაში.

საქმდესი და
უცხოეთის ჭრესის
საქმგენტოები
იტყობინებიან

ამბები ● ფაქტები
● პრობლემები

მდგომარეობა ესპანეთში

მკვლელობაში ეჭვმიტანილია ემპვსი კაცი

მადრიდი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ესპანეთის მთავრობამ გასცა ბრძანება მოძებნონ და დაპატიმრონ ძმესი კაცი, რომელებზეც ეჭვი აქვთ მიტანილი, რომ მონაწილეობდნენ თავდასხმის მოწყობაში, რომლის შედეგად მოკლეს მთავრობის თავმჯდომარე კარერო ბლანკო. ინფორმაციის სამინისტროს განცხადებით, ეჭვისეი ბასკთა არალეგალური ორგანიზაციის — ეტას წევრია. განცხადებაში აღნიშნულია, რომ თავდასხმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ხოსე იგნასიო გომესმ, იჯარით აიღო სარდაფის ბინა ქუჩაზე, სადაც თავდასხმა მოხდა. თავდასხმის მონაწილეებმა ქუჩის ქვეშ გათხარეს გვირაბი, სადაც ჩადეს ფეთქებადნივთიერებათა ძლიერი მუხტი. სწორედ აფეთქების შედეგად მოკლეს კარერო ბლანკო, რომელიც ავტომანქანით მიდიოდა ამ ქუჩაზე.

□

აძლიერებენ რეპრესიებს

ბეირუთი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი აძლიერებენ ტეროროსა და რეპრესიებს კამპანიას 1967 წელს მიტაცებულ არაბულ ტერიტორიებზე.

როგორც დღეს ბეირუთის გაზეთი „ალ-ჰაიათი“ იუწყება, მდინარე იორდანის ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირზე კვლავ დაპატიმრეს არაბი მცხოვრებნი. ქალაქები ნაბლუსი, ელ-ჰალილი და რამალაჰი სავსეა ისრაელის ჯარებით. ოკუპანტები იჭერენ მცხოვრებლებს, როგორც კი მიიტანენ ეჭვს, რომ მათ კავშირი აქვთ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასთან. ბოლო დღეებში ისრაელის ხელისუფლებამ სრულიად უსაფუძვლოდ აკრძალეს კეთების პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების სხვა საქონლის გამოტანა იორდანის დასავლეთი ნაპირის ქალაქების ბაზრებზე. მარტო უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ისრაელმა ჯარისკაცებმა ააფეთქეს გლეხთა 5 სახლი სოფელ დეირ აბუ დაიფში, დაბარალეს რა ამ სახლების პატრონებს პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მხარდამჭერა. ამას იუწყება პალესტინის საინფორმაციო სააგენტო.

ისრაელის ხელისუფალთა ძალმომრეობა ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე, ხაზს უსვამს საგენტო, არაბი მოსახლეობის პროტესტებსა და აღშფოთებას იწვევს.

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ხოსე იგნასიო გომესი, შეტანილი იმ პირთა სიაში, რომლებსაც ეძებს ესპანეთის მთავრობა, კატეგორიულად უარყოფდა რაიმე მონაწილეობას კარერო ბლანკოზე თავდასხმის ორგანიზებაში. ეს მან განაცხადა გუშინ გაზეთ „სიუდ-უესტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ბორდოში გამოვიდა.

ამავე დროს ბასკთა ორგანიზაცია ეტამ საფრანგეთის ქალაქ ბიარიცში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეჭვისეი კაცი, რომლებსაც კარერო ბლანკოს მოკვლას აბრალებენ, უშიშარ ადგილას იმყოფება.

ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, ხელისუფლებამ გააძლიერეს რეპრესიები ბასკების ქვეყანაში. ყველგან მოწყობილია პოლიციის საგუშაგოები და საფარები, სადაც ამოწმებენ ყველა მოგზაურის დოკუმენტებს. 45 წლამდე ასაკის ბასკების აკრძალული აქვთ ესპანეთის ფარგლებიდან წასვლა, და მათ პასპორტებს ართმევენ. დააპატიმრეს პირები, რომლებზეც ეჭვი აქვთ მიტანილი, რომ სიმპათიით ეკიდებიან ბასკ ნაციონალისტებს.

იაპონია



ამერიკის გაზეთის წინააღმდეგ

□

იაპონიის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი, მუშათა და სტუდენტთა შრავალსიმა მოითხოვს იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების“ გაუქმებას. ამას მოწმობს იმ გამოკითხვის მონაცემები, რომელიც ამას წინათ მოაწყო გაზეთმა „სანკეი სიმბუნმა“.

სურათზე: ამერიკის სამხედრო ბაზის შესასვლელთან გამართული ერთ-ერთი საპროტესტო დემონსტრაციის დროს.

ჯაპან პრეს-საკდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

ტრიბუნალის განაჩენი

ქაბული, 25 დეკემბერი. (საკდესი). „ბუმეზრიათმა“ გამოაქვეყნა ავღანეთის რესპუბლიკის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება რესპუბლიკური რეჟიმის წინააღმდეგ მიმდინარე წლის სექტემბერში აღმოჩენილი შეთქმულების მონაწილეთა საქმის გამო. 5 კაცს მიესაჯა სიკვდილი, მათ შორის — ავღანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს მ. ჰ. მეივანდვალს, რომელმაც თავი მოიკლა საპყრობილეში, ნანგარჰარის პროვინციის ყოფილ გუბერნატორს ხან მუჰამედს. მთელ რიგ პირებს, მათ შორის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ მთავარსარდალს გენერალ აბდულ რეზაკს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, 8 კაცს კი სხვადასხვა ვადის — 4-დან 15 წლამდე — პატიმრობა.

ისრაელის პროვოკაციები

ბეირუთი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ისრაელის ჯარები ორშაბათს სამ საათს უშენდნენ მძიმე არტილერიის ცეცხლს სამხრეთ ლიბანის სოფელ ტირ-ჰარფას. მასირებული ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე სოფლებს ნაკურას, ალ-მა ეშშაბს, დუჰეირას და იარინს.

სად რა მოხდა

გემების შეჯახება სრუტეში

სინგაპური, 25 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ მალაკის სრუტეში, 3 კილომეტრზე სინგაპურის სამხრეთით, ერთმანეთს შეეჯახა ორი სატვირთო გემი. როგორც სინგაპურის ნავსადგურის წარმომადგენელმა განაცხადა, იაპონიის 3 ათასი ტონა ტვირთამწეობის გემი „ტერუსიმა მარუ“ ჩაჰყიროა შეჯახებიდან 7 წუთის შემდეგ. გემის ეკიპაჟის ოცდაორივე წევრი გადაარჩინეს. მეორე გემ „იუბაბელა“, რომლის ტვირთამწეობა 7,5 ათასი ტონაზე მეტია და რომელიც ლიბერიის ალმით დაცურავს, დაზიანდა, მაგრამ არ ჩაძირულა.

პროვოკაციული აქტები

რომი, 25 დეკემბერი. (საკდესი). მილანის ორ დიდ უნივერსალურ მაღაზიაში სამი ბომბი აფეთქდა. აფეთქების შედეგად წარმომობილი ხანძარი სწრაფად ჩაანერეს. ამასთანავე მაღაზიათა მუშაკებმა აღმოაჩინეს საათისმექანიზმიანი ასაფეთქებელი ნივთიერების კიდევ 4 მუხტი, რომლებიც განმუხტეს.

იტალიელ კომუნისტთა გაზეთი „უნიტა“ ამ პროვოკაციებს უწოდებს რეაქციის ახალ შეთქმულებას, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას ქვეყანაში დაძაბულობის ვითარება.

მოსახლეობა გახიზნეს

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის ილინოისის შტატის პატარა ქალაქ მაპლტონის ხელისუფლებმა გასცეს განკარგულება გახიზნონ ქალაქის ყველა მცხოვრები. გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის რაიონში რელსებს ბოდა რკინიგზის შემადგენლობა. რომელიც ფეთქებასაფრთხო და მომწამვლელი ნივთიერებით არის დატვირთული.

„თოვლის მახე“

ოტავა, 25 დეკემბერი. (საკდესი). ათასობით მაზავრი აღმოჩნდა „თოვლის მახეში“ მონრეალის დორვალის საერთაშორისო აეროპორტში. უკვე სამ დღეს გრძელდება ძლიერი თოვა, რომელიც თვითმფრინავებს საშუალებას არ აძლევს განრიგით გაფრინდნენ.

პარტიული ცხოვრება

3 იდრე პარტიული კონფერენცია დაიწყებოდა, ჩვენ საუბარი გვქონდა თბილისის საყოფაცხოვრებო ქიმიის ფირმის ხელმძღვანელებთან. ისინი კონფერენციაზე ამაყად მოვიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდნენ — კრიტიკის ქარცეცხლი არ ასცდებოდათ. ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ სასიხარულოა, რომ კოლექტივს, ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ უპატრონოდ მიტოვებულ ამ ფირმას ენთუზიასტი კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში და საწარმოს დანგრეული მეურნეობის აღდგენას ენერგიულად შეუდგნენ.

შედეგიც ჩანს. ახლა ფირმა წინსვლის პირველ გამართულ ნაბიჯებს დგამს. ის დიდი ფულადი გარდვეა, რომელიც მას გეგმების შესრულების საქმეში ჰქონდა, თანდათან იფარება, შესრულდა ამ წლის ბოლო ოთხი თვის გეგმები. მომავალ წელს ქარხნის კომუნისტები იმედის თვალით შესცქერიან.

საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნის მუშაობაში მომხდარი ეს ნაწილობრივი გარდატეხა პარტიის საქარხნო რაიონული კომიტეტის უშუალო ჩარევის, მიღებული ქმედითი ზომების შედეგი იყო და ეს ერთეული ფაქტი როდია. პარტიის საქარხნო რაიკომმა, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში შეიქმნა, არაერთი ასეთი მიზანსწრაფული ღონისძიება განახორციელა თავისი არსებობის მცირე ხნის მანძილზე.

და აი დედაქალაქის ამ ახალი რაიონის კომუნისტებს საანგარიშო კონფერენციის დღე დაუდგათ. ისინი საქმიანი განწყობილებით მოვიდნენ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კლუბში და ორ დღეს მსჯელობდნენ თავიანთ განვლილ მუშაობასა და მომავლის პერსპექტივებზე. ეს იყო მათი რიგით მეორე პარტიული კონფერენცია.

კომუნისტთა ამ დიდ საუბარში ნათლად ჩანდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ახალი რაიონის პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს ეკისრება შრომითი, საყოფაცხოვრებო და პარტიული დისციპლინის განმტკიცების, ყოველი სამუშაო ადგილის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც მისმა პირველმა მდივანმა რ. გოგლიძემ გააკეთა, ჯერად იყო ასახული რაიონის პარტიული ორგანიზაციის სამეურნეო და პოლიტიკური მოღვაწეობა. მოხსენებელი მეტნაკლებად შეეხო და ანალიზი გაუკეთა რაიონის თითქმის ყველა წამყვანი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. დაახასიათა რაიონული კომიტეტის საქმიანობა იმ ცნობილი დადგენილების შესრულებისათვის, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შესახებ.

რაიონული კომიტეტის, ადგილებზე პარტიული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გარკვეული წარმატებებია მოპოვებული სამრეწველო, სამშენებლო, საგრანსპორტო კოლექტივების მუშაობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში. უფრო ქმედითი გახდა განხორციელებული იდეურ-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებები, დამაჯერებელი ნაბიჯები გადაიდგა სოციალურების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების გზაზე.

180 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელთაგან უმეტესობა (ასზე მეტი) ძირითადად საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, საგრანსპორტო და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებშია შექმნილი, აქტიურ საქმიანობას ეწევა და შედეგიც ჩანს. რაიონის მრეწველობა სახელმწიფო გეგმებს ასრულებს. მარტო წლის თერთმეტ თვეში საქარხნო რაიონის მშრომელებმა გეგმის გადამეტებით მოახდინეს 118 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 7,8 პროცენტით.

მაგრამ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მთელი რიგი საწარმოების პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და, ჩვენი აზრით, კომუნისტები სწორად მოიქცნენ, როცა საქმის სწორედ ამ მეორე, უფრო მნიშვნელოვან მხარეს დაუთმეს დიდი ყურადღება.

საქარხნო რაიონი დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი რაიონია. მოსახლეობა 113 ათას კაცს შეადგენს და ტერიტორია ხორცკომბინატიდან ლოჭინის ხევამდე 500 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზეა გადაჭიმული. აქ განლაგებულია მთელი რიგი სარეწველო, სატრანსპორტო საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები. აქაურ მშრომელებს ძირითადად აბაუპასუხისმგებლობის აღმაშფოთებელი ფაქტები. უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკაში დაიტაცეს 7 ათასი მანეთის სახელმწიფო ქონება, ეცდებიან საწარმოო კომბინატში 20 ათასი მანეთისა. თბილკვებფაბრიკის № 103 მაღაზიის გამგემ კომუნისტმა ლ. მიქაბაძემ მუშაობის ორი თვის მანძილზე 9.226 მანეთი მითვისა.

ანალოგიური ფაქტები პარტიულ კონფერენციაზე მკაცრი მსჯელობის საგნად აქციეს, გაუკეთეს ანალიზი და სავსებით სწორად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ქმედითად ვერ იბრძვიან კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, ყოველმხრივ არ სწავლობენ კადრებს, შეუმოწმებლად უშვებენ მათ მატერიალურად პასუხისმგებელ სამუშაოებზე.

ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, პარტიულ კონფერენციაზე სამართლიანად უსაყვედურეს იმ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ კომუნისტთა რიგების ღირსეული კანდიდატებით შევსებისა და გამრავლებისათვის. ამ საქმეში უშვებენ სერიოზულ ნაკლოვანებებს. უპარტიო აქტივთან მუშაობის ნაკლად ითვლება ის, რომ რაიონის 180 პარტიული ორგანიზაციიდან 1973 წელს სრულიად არ გაზრდილა 50 პარტიული ორგანიზაცია. იყო ფაქტები, როცა პარტიის რიგებში იღებდნენ უღირსებსაც. რაიკომის ბიურომ საანგარიშო პერიოდში რამდენიმე ასეთი ფაქტი გამოავლინა.

პარტიის რიგებზე მიღებაზე რაიკომის ბიურომ უარი უთხრა ხელმძღვანელ მუშაკებსა და წამყვან სპეციალისტებსაც კი. და იცით რატომ? სამწუხაროდ, უმეტესობამ ძალიან სუსტი პოლიტიკური ცოდნა გამოავლინა.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, ცალკეულმა კომუნისტებმა ამგვარი საკითხები კონფერენციაზე მსჯელობის საგნად რომ აქციეს, ამით ხაზი გაუსვეს თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, რომელიც შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებას, კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის, აქტივობის ამაღლებას, ინიციატივის გამოჩენას ითვალისწინებს. ვფიქრობთ, მუშაობის სწორ გზას ადგანან საქარხნო რაიონის კომუნისტები, როცა პარტიული კადრების სწავლებისა და აღზრდის საქმეს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ და მას უპარტიო აქტივისაგან მოუწყვეტლად განიხილავენ.

რაკი კადრები წყვეტენ ყველაფერს, ამიტომ მათი აღზრდის, მოშუადებისა და განაწილების საქმის გაყოფა, დაშორიშორება არ შეიძლება. და ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გადაჭრის პარალელურად უნდა წარიმართოს ბრძოლა სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის და პირველ რიგში, პარტიული დისციპლინის განმტკიცებისათვის, რომ რაიონის სახალხო მეურნეობამ რიტმულად იშრომოს და ამამღლოს ყოველი სამუშაო ადგილის ეფექტიანობა.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობას. პარტიულ ორგანიზაციებთან სულ შექმნილია 108 პარტიული კომისია, რომელშიც 449 კომუნისტია გაერთიანებული. სამწუხაროდ, ეს დიდი ძალა მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული.

სწორედ ამ კომისიების, აგრეთვე სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის სრულყოფა, აქტივიზაცია მომავალ წარმატებათა საწინდარი გახდება. ასე ფიქრობენ საქარხნო რაიონის კომუნისტები, რომელთა ცხოვრებაში მომავალი 1974 წელი დიდი გამოცდა იქნება. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ გასისად უკვე მოლაპარაკებანი უნდა გვიჩვენოს თავისი სახე, რადგან ჩამოყალიბებისათვის უკვე დრეკ საკმარისი და ვითარებაც შესაფერისი ექნება.

პარტიულ კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ნ. ჩურკინმა.

რ. ბელიძე.

ახალი რაიკომის ნაბიჯები

თბილისის საქარხნო რაიონის კარტიულ კონფერენციაზე

პაგლო ნერუდას უკანასკნელი დღეები

გამოჩენილი ჩილელი პოეტის პაბლო ნერუდას ცხოვრება და შემოქმედება ფართოდ არის ცნობილი მთელ მსოფლიოში. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იგი ხალხის გმირებისათვის ერთგული მებრძოლი იყო.

ვენესუელის გაზეთმა „ნასიონალმა“ გამოაქვეყნა მატილდა ურუტიას — პოეტის ძვირფასი ნაამბობი პოეტის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების შესახებ.

მკითხველებს ვთავაზობთ ამ ნაამბობს შემცირებით.

— **შეიძლება** დაბეჯითებით ითქვას, რომ პაბლო ბედნიერი ადამიანი იყო. ეს იგრძნობოდა მთელ მის შემოქმედებაში, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს სარეცელზე იყო მიკრული თავის სახლში „ისლა ნეგრაში“. პაბლომ ის იყო მოკეთება დაიწყო, რომ მოხდა ფაშისტური გადატრიალება, რამაც მძიმე სულიერი ტრავმა მიაყენა მას.

ექიმმა როცა გაიგო სალვადორ ალიენდეს დაღუპვის ამბავი, დაუყოვნებლივ დამირეკა და გამფრთხილა: „პაბლოს არაფერი არ უთხრათ, ამან შეიძლება ძალიან ავნოს ავადმყოფს“. მაგრამ იმ ტრაგიკული ამბების

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ!

ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ 83

- ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲗᲘᲗ?
- ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲖᲦᲣᲓᲔᲑᲡ ᲣᲢᲔᲕᲔᲜ
- ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲢᲙᲘᲕᲐᲗ
- ᲜᲓᲝᲒᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ — ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝ

ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ საწარმოებსა და მშენებლობებზე საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხზე ამასწინათ იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა. როგორც გამოირკვა, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, მშენებლობებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს ამ საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები. ბევრგან ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია და დაბალია მომსახურების დონე, დასაჯდომი ადგილებით მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფა 70 პროცენტს არ აღემატება.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციათა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დასაჯდომი ადგილებით უზრუნველყოფილნი არიან მხოლოდ 80 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ობიექტებში — 60 პროცენტით, ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს — 75 პროცენტით, მუსუბუქი მრეწველობის სამინისტროს — 90 პროცენტით. ანალოგიური მდგომარეობაა „საქნახშირის“ კომბინატისა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციების საწარმოებშიც.

ქალაქ ქუთაისის სამრეწველო საწარმოებთან არსებულ სასადილოებში ნორმასთან შედარებით დასაჯდომი ადგილების რაოდენობა 850 ერთეულით ნაკლებია, მათ შორის საავტომობილო ქარხანასთან — 111 ადგილით, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასთან — 122 ადგილით, სამკერვალო გაერთიანებასთან — 137 ადგილით. საკონსერვო ქარხანასთან — 65 ადგილით და სხვ. ქ. ცხინვალის 11 საწარმოსთან არსებულ სასადილოებში 750 დასაჯდომი ადგილის ნაცვლად მხოლოდ 440 ადგილია, ხოლო 9 საწარმოში, სადაც 1.590 კაცზე მეტი მუშაკია, სრულებით არ არის. საზოგადოებრივი კვების ობიექტები (კავშირგაბმულობის განყოფილება, № 3 ავტოსატრანსპორტო საწარმო და სხვ.). მსგავსი მდგომარეობაა ბათუმის, სოხუმის, ტყვარჩელის, ტყიბულისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობის ობიექტებზე. საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ „საქნახშირის“ კომბინატის ტყიბულის შახტის აღმოსავლეთ № 2-ის 500-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეს არც ერთი კვების ობიექტი არ ემსახურება.

თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადის“ მუშაკთა კოლექტივს ემსახურება სასადილო, რომელსაც ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 200 ადგილისა, 60 დასაჯდომი ადგილი აქვს. ეს სასადილო წარმოებიდან დიდი მანძილით არის დაშორებული და მოთავსებულია მოუწყობელ, ავარიულ შენობაში.

სამრეწველო საწარმოებთან და მშენებლობებთან არსებული ზოგიერთი სასადილო ხანგრძლივად არის დაკეტილი. ტყვარჩელის № 5 შახტთან არსებული სასადილო შეკეთების მოტივით დაკეტილია 1973 წლის თებერვლიდან, ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის სასადილო — ივლისიდან, ხოლო აგარის შაქრის ქარხნის სასადილოს შეკეთებას სწორედ სეზონის დაწყების დროს — 5 ოქტომბერს შეუდგნენ. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი საშუროს საგალანტერიო ფაბრიკასა და ზოგიერთ სხვა საწარმოებში.

რესპუბლიკის 23 სამინისტროსა და უწყების საწარმოების საზოგადოებრივი კვების ობიექტებში წლიური დაკალება 5.135 დასაჯდომი ადგილით გადიდების შესახებ ათი თვის მდგომარეობით შესრულებულია 80 პროცენტით, მათ შორის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 52,2 პროცენტით, მშენებლობის სამინისტროს სისტემაში — 69,3 პროცენტით და „ᲞᲘᲐᲝᲣᲠᲘᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ობიექტებში — 27,2 პროცენტით, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში კვების ობიექტები არცერთი დასაჯდომი ადგილით არ გაუდიდებიათ.

სამრეწველო საწარმოების, მშენებლობებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უყურადღებობის შედეგად საზოგადოებრივი კვების მთელი რიგი ობიექტები ჯერ კიდევ აღჭურვილი არ არიან საჭირო სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობა-დანადგარებით, სამზარეულო და სასადილო ინვენტარით. ზოგან უვარგის ᲭᲣᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ (მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის, სურამის მინის ტარის ქარხნის, კასპის ცემენტის ქარხნისა და ზოგიერთი სხვა საწარმოების სასადილოები). ბევრგან ჩაი და სხვა ცხელი სასმელი არ მზადდება იმის გამო, რომ არ არის წყლის მადუღარი და სხვა ინვენტარი.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობისა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, შემოწმებული სასადილოების უმეტეს ნაწილში გამოვლინებულია ცხელი და ცივი უულუფების ასორტიმენტის დაუცველობის, უულუფების მომზადების ტექნოლოგიის ნორმების უსეში დარღვევის, ფასების დამახინჯებისა და უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები. სასადილოებში იშვიათად მზადდება დიეტური, თევზის, ბოსტნეულის, ბურღულებისა და სხვა იაფფასიანი კერძები.

ტყიბულის მუშათა მომარაგების განყოფილების ზოგიერთ სასადილოში თევზის, გულიაშისა და კატლეტის ულუფების (გარნირის) გამოსავლიანობის ხელოვნურად შემცირების შედეგად, ამ კერძების ფასები გადიდებული იყო 2-3 კაპიკით. კასპის რაიკოოპერატივის ცემენტის ქარხანასთან არსებულ სასადილოს ბუფეტში ძეხვი „თბილისური“ თითო კილოგრამი იყიდებოდა 6 კაპიკის მეტობით. იქვე ფასები არ იყო გამოცხადებული შემწვარ თევზზე, თითო ცალ ხინკალს საშუალოდ აკლდა 5 გრამი; მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის სასადილოში კალკულაციის არასწორად შედგენის გზით კატლეტის ფასი გადიდებული იყო და 10 კაპიკის, ანუ 26 პროცენტის მეტობით იყიდებოდა; რუსთავის საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 27 გაერთიანების სასადილოში ბივშტექსი ᲞᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ამავე დროს თითო ულუფას წონაში აკლდა — 13 გრამი, ხაჭოშწვარს — 20 გრამი. 51-ე გაერთიანების სასადილოში ბივშტექსს აკლდა წონაში 10 გრამი.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია სასადილოებისათვის პროდუქტების მიწოდებისა და ტრანსპორტით უზრუნველყოფის, კერძების გაიაფების, საღამოს ცვლის მუშების ცხელი ულუფებით და სამკურნალო კვებით უზრუნველყოფის საქმე, საკმაო რაოდენობით არ არის კულინარული ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების მაღაზიები.

ზოგიერთ საწარმოში მუშა-მოსამსახურეთა კვების გაიაფებისათვის სრულიად არ იყენებენ საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფონდებისა და პროფესიული კავშირების მიერ გამოყოფილ სახსრებს. ასეთი მდგომარეობაა აგარის შაქრის ქარხანაში, ქუთაისისა და სურამის მინის ტარის ქარხნებში, ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲨᲘ“, თბილისის ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკაში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ № 8 ტრესტში, რუსთავის ცემენტის ქარხანაში.

საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა ასეთი ცუდი მუშაობის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი საკვების მიღებაზე კარგავს დიდ დროს, რაც უარყოფითად მოქმედებს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე და საქონლებრუნვის გეგმების შესრულებაზე.

გამოვლინებული ნაკლოვანებები და დარღვევები იმის შედეგია, რომ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და ვაჭრობის ობიექტების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ ახორციელებენ ქმედთ ღონისძიებებს, ზემდგომი ორგანოების მითითებებს და ეგუებიან ნაკლოვანებებს. ამასთან ადგილობრივი სახალხო კონტროლის კომიტეტები და სახალხო კონტროლის ჯგუფები საკმაოდ უყურადღებას არ აქცევენ საწარმოებში და მშენებლობებზე საზოგადოებრივი კვების მდგომარეობას და არ იყენებენ დებულებით მინიჭებულ უფლებებს კონტროლის განხორციელებისათვის.

კომიტეტმა საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად საჭირო ზომების მიუღებლობისათვის, რის შედეგად ადგილი აქვს ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს, რუსთავის საზოგადოებრივი კვების ტრესტის დირექტორს მ. ფოცხვერიას გამოუცხადა საყვედური. ვაჭრობის წესების დარღვევების აღსაკვეთად საჭირო ზომების მიუღებლობისათვის საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მუშათა მომარაგების განყოფილების მარეხისს ქვეგანყოფილების გამგეს გ. ღომსაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. საწარმოებთან საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად საჭირო ზომების მიუღებლობისათვის „საქნახშირის“ კომბინატის უფროსს მოადგილის ა. ჩხეტიანის და კასპის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის ა. კენჭუაშვილის საკითხი განსახილველად გადაეცა „საქნახშირის“ კომბინატს და ცეკავშირის გამგეობას.

კომიტეტმა ამასთანავე მიიღო სხვა ღონისძიებები ამ უმნიშვნელოვანესი საქმის გასაუმჯობესებლად.

ᲐᲐᲛᲔᲒᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘᲐ

ᲐᲑᲐ როგორ წარმოიდგენ სოფლის მშრომელ ადამიანს სასპეციალიზაციო ეცალოს, მიატოვოს თავისი კარმიდამო, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო მეურნეობა, სადაც ის გამრჯე კაცად ჰყავთ წარმოდგენილი და ბაზრებში საქონლის ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲣᲬᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ.

ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ.

ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ, ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ელემენტარული ᲒᲔᲛᲘᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲗ: იქ, სადაც სახალხო კონტროლიორთა სწავლების სათანადო ყურადღებით ეკიდებიან, მათი მუშაობის დონეც მაღალია. ამიტომ საავტომობილო ქარხანასთან სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი, როცა თავის მორიგ სხდომაზე განსახილველად დააყენა საკითხი „სახალხო კონტროლიორთა სწავლებისა და მათი მუშაობის საჭიროობის შესახებ საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და მოსახელეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში“.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, აღნიშნულ საწარმოებში ერთგვარი ყურადღება ეთმობა სახალხო კონტროლიორთა სწავლებისა და მათი მუშაობის საჯაროობის საქმეს. მაგალითად, საავტომობილო ქარხანაში პერიოდულად იმართება კონტროლიორთა შეკრებები, ეწყობა მათთვის საუბრები მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე. ქარხანაში მოწყობილია სახალხო კონტროლის სტენდი, რომელზეც მოთავსებულია სახალხო კონტროლიორთა სია, ჯგუფებისა და საგუშაგოების სტრუქტურა,

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲠᲘᲗ ᲔᲡ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲐ, მაგრამ სახალხო კონტროლიორთა სწავლების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანიც. საავტომობილო ქარხანაში 1970 წლიდან შეიქმნა კონტროლიორთა სწავლების სამი ჯგუფი 166 კაცის შემადგენლობით, მაგრამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აქ არცერთი მეცადინეობა არ მოწყობილა. ავტომშენებლელთა მრავალტრიალიან გაზეთ „ლენინელის“ ფურცლებზე ნაკლებად შუქდება სახალხო კონტროლიორთა მუშაობის ამსახველი მასალები. სრულიად არადამაკმაყოფილებელია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში სახალხო კონტროლიორთა სწავლების საქმე. მათ არ იციან თავიანთი მოვალეობა და, ბუნებრივია, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მოსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები ვერ ახორციელებენ კვალიფიციურ კონტროლს სახელმწიფო დაკალებათა შესრულებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, არამწარმოებლური ხარჯების შემცირებაზე, სახელმწიფო ქონების დაცვაზე.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი სახალხო კონტროლიორთა სწავლებისა და მათი მუშაობის საჯაროობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ — ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝ

მარეობაა „საქნახშირის“ კომბინატისა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციების საწარმოებშიც.

ქალაქ ქუთაისის სამრეწველო საწარმოებთან არსებულ სასადილოებში ნორმასთან შედარებით დასაჯდომი ადგილების რაოდენობა 850 ერთეულით ნაკლებია, მათ შორის საავტომობილო ქარხანასთან — 111 ადგილით, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასთან — 122 ადგილით, სამკერვალო გაერთიანებასთან — 137 ადგილით. საკონსერვო ქარხანასთან — 65 ადგილით და სხვ. ქ. ცხინვალის 11 საწარმოსთან არსებულ სასადილოებში 750 დასაჯდომი ადგილის ნაცვლად მხოლოდ 440 ადგილია, ხოლო 9 საწარმოში, სადაც 1.590 კაცზე მეტი მუშაკია, სრულებით არ არის. საზოგადოებრივი კვების ობიექტები (კავშირგაბმულობის განყოფილება, № 3 ავტოსატრანსპორტო საწარმო და სხვ.). მსგავსი მდგომარეობაა ბათუმის, სოხუმის, ტყვარჩელის, ტყიბულისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობის ობიექტებზე. საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ „საქნახშირის“ კომბინატის ტყიბულის შახტის აღმოსავლეთ № 2-ის 500-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეს არც ერთი კვების ობიექტი არ ემსახურება.

თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადის“ მუშაკთა კოლექტივს ემსახურება სასადილო, რომელსაც ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 200 ადგილისა, 60 დასაჯდომი ადგილი აქვს. ეს სასადილო წარმოებიდან დიდი მანძილით არის დაშორებული და მოთავსებულია მოუწყობელ, ავარიულ შენობაში.

სამრეწველო საწარმოებთან და მშენებლობებთან არსებული ზოგიერთი სასადილო ხანგრძლივად არის დაკეტილი. ტყვარჩელის № 5 შახტთან არსებული სასადილო შეკეთების მოტივით დაკეტილია 1973 წლის თებერვლიდან, ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის სასადილო — ივლისიდან, ხოლო აგარის შაქრის ქარხნის სასადილოს შეკეთებას სწორედ სეზონის დაწყების დროს — 5 ოქტომბერს შეუდგნენ. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი საშუროს საგალანტერიო ფაბრიკასა და ზოგიერთ სხვა საწარმოებში.

რესპუბლიკის 23 სამინისტროსა და უწყების საწარმოების საზოგადოებრივი კვების ობიექტებში წლიური დაკალება 5.135 დასაჯდომი ადგილით გადიდების შესახებ ათი თვის მდგომარეობით შესრულებულია 80 პროცენტით, მათ შორის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 52,2 პროცენტით, მშენებლობის სამინისტროს სისტემაში — 69,3 პროცენტით და „ᲞᲘᲐᲝᲣᲠᲘᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ობიექტებში — 27,2 პროცენტით, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში კვების ობიექტები არცერთი დასაჯდომი ადგილით არ გაუდიდებიათ.

სამრეწველო საწარმოების, მშენებლობებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უყურადღებობის შედეგად საზოგადოებრივი კვების მთელი რიგი ობიექტები ჯერ კიდევ აღჭურვილი არ არიან საჭირო სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობა-დანადგარებით, სამზარეულო და სასადილო ინვენტარით. ზოგან უვარგის ᲭᲣᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ (მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის, სურამის მინის ტარის ქარხნის, კასპის ცემენტის ქარხნისა და ზოგიერთი სხვა საწარმოების სასადილოები). ბევრგან ჩაი და სხვა ცხელი სასმელი არ მზადდება იმის გამო, რომ არ არის წყლის მადუღარი და სხვა ინვენტარი.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობისა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, შემოწმებული სასადილოების უმეტეს ნაწილში გამოვლინებულია ცხელი და ცივი ულუფების ასორტიმენტის დაუცველობის, ულუფების მომზადების ტექნოლოგიის ნორმების უსეში დარღვევის, ფასების დამახინჯებისა და უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები. სასადილოებში იშვიათად მზადდება დიეტური, თევზის, ბოსტნეულის, ბურღულებისა და სხვა იაფფასიანი კერძები.

ტყიბულის მუშათა მომარაგების განყოფილების ზოგიერთ სასადილოში თევზის, გულიაშისა და კატლეტის ულუფების (გარნირის) გამოსავლიანობის ხელოვნურად შემცირების შედეგად, ამ კერძების ფასები გადიდებული იყო 2-3 კაპიკით. კასპის რაიკოოპერატივის ცემენტის ქარხანასთან არსებულ სასადილოს ბუფეტში ძეხვი „თბილისური“ თითო კილოგრამი იყიდებოდა 6 კაპიკის მეტობით. იქვე ფასები არ იყო გამოცხადებული შემწვარ თევზზე, თითო ცალ ხინკალს საშუალოდ აკლდა 5 გრამი; მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის სასადილოში კალკულაციის არასწორად შედგენის გზით კატლეტის ფასი გადიდებული იყო და 10 კაპიკის, ანუ 26 პროცენტის მეტობით იყიდებოდა; რუსთავის საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 27 გაერთიანების სასადილოში ბივშტექსი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲕᲐᲒᲝᲜᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ 96-ᲑᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲘᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ № 131 ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲡ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ — ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ Ვ. ᲤᲝᲠᲤᲝᲠᲔᲚᲐᲫᲔ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲘᲡᲝ Გ. ᲚᲝᲛᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ

შემოქმედებითი პორტრეტები

არჩილ ჩიმაკაძე

არჩილ ჩიმაკაძე საქართველოს ფრიად პოპულარული კომპოზიტორია. ხშირად ვისმენთ მის მუსიკას ეთერში, ცისფერი ეკრანებიდან, საკონცერტო ესტრადიდან. ამ ბოლო დროს კი განსაკუთრებით გაისმის მისი სიმღერები — საგუნდო თუ კამერული, სხვადასხვა ფორმისა.

აშკარად აქვს მის სიმღერებს თუ რომანსებს ის თვისება, ჩვეულებრივ ამ ჟანრის უპირველეს ძალად რომ ითვლება: ეს გახლავთ მელოდიური საბიერვე. მე კი ვიტყოდი: ეს როდია ამოსავალი ა. ჩიმაკაძის მუსიკის ესოდენ მიმზიდველობისა. ამ ღრმად ორიგინალური კომპოზიტორის პოპულარობა ორი ათეული წლის წინათ დაიწყო და ამის მიზეზი იყო კანტატა, „ქართლის გული“ — დიდფორმიანი ქმნილება, რომელიც პირველი ამეტყველებისთანავე უტყუარად თვითმყოფი, ღრმა და მთლიანი შთაბეჭდილების კვალს ტოვებდა ყველგან, — პროფესიულსა თუ ფართო მსმენელებში, საქართველოსა თუ მის გარეთ...

პატრიოტულმა თემამ ელვარე და ორიგინალური განსახიერება ჰპოვა ამ კანტატაში, რომელიც გ. ლეონიძის პოეზიის მოტივების შთაგონებით შეიქმნა. „ქართლის გულის“ მუსიკამ მხმენელი მიიპყრო უაღრესი შინაგანი მთლიანობით, გმირული ეპოსის სიდიადით, იმ შთამაგონებელი მონუმენტურობით, რომლითაც აღბეჭდილია ეროვნული ძეგლები — სიმაგრენი, ქართველი ხალხის გმირული ისტორიის ყველაზე დრამატული, სისხლიანი ეპიზოდების მომსწრე რომ ყოფილან.

ქართლის ცხოვრების დრამატული მატიანის მოგონებაა მეორე ნაწილი („ქართლის ბედი“), იავნანასებური ნაღვლიანი და ნარნარი ლირიკული კოლორიტი მასში მზარდი მღელვარებით იმსჭვალება და სიმფონიური განვითარების დიდ პროცესში მრისხანე დრამატულ ძალას იძენს (რასაც გმირული ენერგიის მძლავრი აფეთქებაც მოჰყვება). იავნანას ხატვის ესოდენ ფართო მეტამორფოზა და მასშტაბიანი წარმოსახვა ეროვნული ნუსიკის მნიშვნელოვანი სიახლე იყო.

ისტორიული ციხე-სიმაგრის იდუმალი მოპუსუსვლობა, ქართველი ერის გმირული წარსულის ტრაგიკული განცდა ატყვია კანტატის მესამე ნაწილს „ძველ ბალავანთან“ — უაღრესად ლაკონიურ და პირქუშ, გარეგნულად გაქვავებულ, ხოლო შინაგანად მძლავრად დამუხტულ ქორალს...

ეპოსური სიღრმეების ხილვა და ამის მძაფრად შეკუნშული, შინაგანად კონდენსირებული გამოხატვა ლიდად დამახასიათებელია ა. ჩიმაკაძის მუსიკისათვის. მაშინაც კი, როცა კომპოზიტორი მცირე მოცულობის ნაწარმოებს ქმნის. სწორედ ეს მცირე მოცულობის ქმნილებანი უტყუარი მონუმენტურობით, ღრმა მთლიანობითა და სიმტკიცით არიან აღბეჭდილი. ასეთია მისი მთელი სერია საგუნდო ქორალებისა, მათი — ერთი მხრივ ამაღლებული, სულიერად განწმენდილი სამყარო, ხოლო მეორე მხრივ ფორეული ტრაგიკული ვამთასვლის, მომნუსხველი ენერგიული გაელვებანი, რომლებიც ალორსტული მკაფიოებით არიან გამსჭვალული. სწორედ ასეთია „ბახტრიონის“ მუსიკა რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის, ვაჟა-ფშაველას პოემის მიხედვით რომ შეიქმნა (პიესა დ. გაჩეჩილაძისა).

შუქნათელი სილაღითა და ჰიმნური ალმაფრენით არის დაწერილი „ვინც ეწვევა საქართველოს“, რომლის პოპულარობა თანმიმდევრულად იზრდება. დიახ, ეს სიმღერა საბჭოთა საქართველოს უგალობს. საერთოდ, ა. ჩიმაკაძის თითქმის ყველა ნაწარმოები სამშობლოთია შთაგონებული. ა. ჩიმაკაძე ღრმად ეროვნული კომპოზიტორია თავისი ხედვით, მუსიკალური ენით. თავისებურად აღიქამს იგი ხალხური საუნჯის სხვენებს, ფორმებს. როცა კონკრეტულ ნიშნებს მიმართავს, ეს არის უწინარეს ყოვლისა სვანური სიმღერის დამახასიათებელი ჰარმონია, — გმირული და ომახიანი. ამაღლებულობრივ გრძნობა კომპოზიტორს არსად ღალატობს, იმ შემთხვევაშიც, როცა მეტისმეტად „ნაცნობ“ და ხშირად ტრივიალურად ქცეულ ქალაქურ კოლორიტს მიმართავს. ამას მოწმობს მისი დიდებული „ფიროსმანი“ — ბეშმარიტად რაინდული სულისკვეთებით აღსავსე სიმღერა, რომელიც მთელის გულით მიიღო ქართველმა ხალხმა.

შეიძლება ბევრს უცნაურად მოეჩვენოს ის „კონსერვატორული სიჯიუტე“, რომელსაც ა. ჩიმაკაძე იჩენს მოდერნისტული მიმდინარეობისა და მათი ხერხების მიმართ. მაგრამ ძალიან მსატვრული სმყარო აქვს, შესაძლოა — ერთგვაროვანიც, მაგრამ ღრმა და მთლიანი. იგი არც თუ ისე ბევრი ნაწარმოების ავტორია, მაგრამ რასაც ქმნის — გვაჯერებს კიდეც. დიდი ხანია, რაც იგი შეუდგა მუსიკალურ-დრამატული ორატორიის „ბეეთხოვენიანის“ წერას, რომლის ფრაგმენტები კიდეც აეღერდა. ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა მისმა მუნუმენტურმა პროლოგმა. დიდიხანია გეპირდება ა. ჩიმაკაძე ოპერა „ბახტრიონსაც“. ვიმედოვნებთ, რომ დაპირებას შეასრულებს.

ანტონ წულუკიძე.

სატგორე მეურნეობა კონდოლში

თელავი. (საკ. კორ.). აღმოსავლეთ საქართველოს სატბორე მეთევზეობის კომბინატს სოფელ კონდოლის ბოლოზე მოწყობილი აქვს სატბორე მეურნეობა. იგი 38 ჰექტარს მოიცავს და რვა წელიწადია უხვად აწვდის მშრომელთა სუფრას ახალ თევზს.

სატბორე მეურნეობის კოლექტივმა ხუთწლედის მესამე წელს ვალდებულება აიღო ეგეგმით გათვალისწინებული 600 ცენტნერის ნაცვლად ეწარმოებინა 650 ცენტნერი თევზი, ხოლო ერთი მილიონის ნაცვლად გამოეყვანა ბილიონ 100 ათასი ცალი ლიფსიტა. პირობის შესასრულებლად მეთევზეები ბეჯითად შრომობდნენ, ფართოდ იყენებდნენ მოწინავე გამოცდილებას და სასახელო მაჩვენებლებსაც მიაღწიეს — ვალდებულებით ნაკისრი 650 ცენტნერის ნაცვლად გაზარდეს 700 ცენტნერი თევზი. წელს გაზარდეს აგრეთვე მილიონ 100 ათასი ცალი „სარკისებრი კობრის“ ლიფსიტა.

საკვაჭრო ცენტრი ახალსოფელში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ახალსოფელი თავისი მრავალსართულიანი კულტურული დაწესებულებებით, სკოლებით, სკოლა-ინტერნატით, მოსაფალტებული ქუჩებით, გაზონებით, ბაღებითა და სკვერებით, პატარა ქალაქს მოგაგონებთ. ყველა ეს სიკეთე ახალსოფლელებმა თავიანთი შრომით შექმნეს.

ამ დღეებში ახალსოფელში გაიხსნა საკვაჭრო ცენტრი. ორსართულიან შენობაში განლაგდა სამრეწველო, სასურსათო, სამეურნეო და კულტსაქონლის მაღაზიები. ცენტრის პირველ სართულში გაიხსნა კაფე-რესტორანი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ №12

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჩვენი სტუმრები

რუსთაველ მეტალურგთა მოწვევით

ამას წინათ რუსთავში სტუმრად ჩამოვიდნენ იუგოსლავიის ქალაქ ზენიცას მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდა სპეციალისტები. ისინი სახელოვან რუსთაველ მეტალურგებს ეწვევნენ. მეგობრული ვიზიტის მიზანია ქართველი მეტალურგებისაგან შეისწავლონ საკლონაჟ საამქროთა დიდი ელექტრონული მანქანების შეკეთების ტექნოლოგია, გაეცნონ მაღალი ძაბვის ძრავების ექსპლოატაციისა და მოვლის ტექნიკას.

სტუმრები წლის ბოლომდე დარჩებიან რუსთავში.

ვ. ცინცაძე.

მეგობრობის გამოძახილი

სსრ კავშირში სტუმრად მყოფი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრთა ჯგუფი ამას წინათ სტუმრად იყო ონჩამირის რაიონში. მათ დათვალიერეს რაიონის ჩაის რამდენიმე მეურნეობა. ამ ძვირფასი კულტურის წარმოებამ მათზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ბულგარელმა სტუმრებმა ონჩამჩირეში ჩამოიტანეს თავიანთი სახელოვანი თანამემამულის ო. ორლინოვის წიგნი „ოდა სსრ კავშირზე“, სადაც ლაპარაკია ჩვენი ქვეყნისა და ბულგარეთის ხალხების ძმურ მეგობრობაზე.



ცეცხლთან საბრძოლველად

რესპუბლიკაში მიმდინარეობს სახანძრო უშიშროების ერთთვიური. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა კომპლექსში ჩართულია ახალი ტექნიკის ჩვენება.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით ცეცხლოვანი ფრონტის მეომრებმა უჩვენეს მძლავრი ხანძარსაწინააღმდეგო „იარაღი“ ქაფის გამოყენებით; მაღალი კიბეები, ცეცხლგამძლე კოსტიუმები და უახლესი ტექნიკის სხვა საგნები.

სიახლეთა შორის მნახველთა განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს ცეცხლგამძლე კოსტიუმები, რომლებითაც მეხანძრეები შეიმოსებიან ხანძრის შემთხვევის დროს. მართლაც სასწაულებრივია, რომ ამ კოსტიუმებით მეხანძრეებს შეუძლიათ იმუშაონ ისეთ პირობებშიც კი, როცა ტემპერატურა ასობით გრადუსს აღწევს. სწორედ ასეთ მაღალ ტემპერატურას უძლებენ კოსტიუმები.

სურათებზე: ზემოთ — ხანძარსაწინააღმდეგო „იარაღი“ ქაფის გამოყენებით; მარჯვნივ ზემოთ — ეს კიბე 32 მეტრ სიმაღლეზე ასვლის საშუალებას იძლევა; ქვემოთ — ცეცხლგამძლე კოსტიუმები, რომლებითაც მეხანძრეები მუშაობენ, ასობით გრადუს ტემპერატურას უძლებენ.

ა. რუხაძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

სოფელს წყაროს წყალი

ონი. (საკ. კორ.). შუაშქმერის მცხოვრებლები სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიდნენ. სასოფლო საბჭოს დიპუტატებისა და აქტივის თაოსნობით კოლმეურნეებმა დიდი მუშაობა გასწიეს და ახლა ხოფლის ცენტრში, [illegible] კილომეტრიდან გამოყვანილი ანკარა წყაროს წყალი მიეწოდება.

ერთ ეგზემპლარად

შემთხვევები

იარაღთან თამაში კარგს არაფერს მოიტანს

ქუთაისი, 24 დეკემბერი. (საქინფორმის კორ.). ქუთაისის საავადმყოფოში ტრაგედია დატრიალდა: ქმარმა მოკლა ცოლი.

აი როგორ მოხდა ეს: შალვა ბასილაძეს, რომელსაც ამას წინათ ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთეს, ეწვივნენ და, სიძე — მეველოდი ასათანი და მისი ძმა ლევან ასათიანი; საუბრის დროს მეველოდემ ლევანის ჯიბეში პისტოლეტი შენიშნა და სთხოვა ეჩვენებინა. ლევანმა ჯიბიდან ამოიღო მცირე ყალიბის პისტოლეტი, რომლიდანაც გამოაძრო სავაზნე ვაზნებითურთ და იარაღი მეველოდს მიაწოდა. მან ხუმრობით პისტოლეტი მეუღლეს დაუმიზნა. უცბად გაისმა გასროლის ხმა. ახალგაზრდა ქალი უსულოდ დაეცა.

როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ლევანს დავიწყებოდა პისტოლეტის ლულიდან ვაზნის ამოღება, და იარაღი ისე გადასცა ძმას.

ახლა ძმები ასათიანები მიცემულნ არიან სასჯელის სამართლის პასუხისგებაში და ჯერჯერობით დაისჯებიან იარაღის შენახვის წესების დარღვევისა და იარაღთან გაუფრთხილებლობისათვის, მაგრამ ვინ დაუბრუნებს დაობლებულ შვილებს დედას...

პირველად როდი გვიხდება ამის შესახებ, რომ იარაღის ხმარების წესების დარღვევა, იარაღთან გაუფრთხილებლობა კარგს არაფერს მოიტანს.

თოვლიან გზებზე

ონი. (საკ. კორ.). რიონის ხეობაში დიდი თოვლის მოსვლას გამო მომრავლდა მტაცებელი ნადირი. ამ დღეებში სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ავტომანქანის მძღოლი ნ. ნატფელაძე ასეთი შემთხვევის მოწმე გახდა. იგი სოფელ ნიგეზნარის მახლობლად, ავტოტრასაზე მგლებს წააწყდა. მან ავტომანქანა პირდაპირ ნადირთა ხროვაში შეაგდო და ორი მტაცებელი გამოასალმა სიცოცხლეს.

შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკები ე. ბოგეჯიშვილი, ჯ. ბროლაშვილი, ნ. ბერელიძე და ა. გუგეშაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემდეგ ავტომანქანით ირიდან ონში მოდიოდნენ. ჩორდის ხიდთან მათ სამი მგელი შენიშნეს. ორგანის მუშაკებმა მტაცებლებს ტყვია დაუშინეს. ერთი მგელი ადგილზევე მოკლეს, მეორე მძიმედ დაჭრეს, ხოლო მესამემ შეძლო წყვდიადში მიმალულიყო.

ამ გაუთვალისწინებელი ნადირობისათვის მამაცმა მილიციელებმა ერთდროული ფულადი პრემია და რაიონის მშრომელთა მადლობა დაიმსახურეს.

ეკონომია

დღეს, 26 დეკემბერს, თბილისში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 8-10 გრადუსი სითბო.

საქართველოს ზამთარში

დადგა ზამთარი. დედაქალაქის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების კოლექტივებთან ერთად ამ მკაცრი გამოცდისათვის მზად არის თბილწყალქანლის სამსახური — საწარმოო სამმართველო, რომელიც თავის რიგებში ენთუზიასტთა დიდ არმიას აერთიანებს. ზამთრისათვის მზადების პერიოდში სამმართველოს კოლექტივის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო დედაქალაქის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის სტაბილური მიწოდება, ამ საქმეში ხარვეზების აღმოფხვრა, მკაცრი გრაფიკის დაცვა, გრაფიკის გახანგრძლივება და ბრძოლა სასმელი წყლის ეკონომიურად, მომჭირნედ ხარჯვისათვის. ასრულებენ და იცავენ თუ არა წყალმომარაგების კოლექტივები ამ მოთხოვნებს? გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტის ამ შეკითხვას უპასუხა თბილწყალქანლის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვაჟა მუმლაძემ.

— ჩვენს კოლექტივებს ზამთარი არანაკლებ საზრუნავს უჩენს, ვიდრე ზაფხული. წყლის დეფიციტი ზამთარში საკრძნობლად ეკვრა, ამიტომ წყალმომარაგების გაზრდის ახალ-ახალი რეზერვების ძიება ხდება საჭირო. ჩვენმა კოლექტივებმა ამ მხრივ უკვე დაადგინეს გარკვეული გამოცდილება, საჭირო დასკვნები გამოიტანეს წარსული გაკვეთილებიდან და ჯერ-ჯერობით ნაკლებ დასახეს კონკრეტული ღონისძიებები.

ახლა ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ როგორც არაგვის ხეობის სათავე ნაგებობის — ნატახტრის, საგურამოს, ჰოპორტ-მისაქციელისა და ბულაჩაურის წყალსადენების, ისე სამგორის წყალსადენის კოლექტივები მზად არიან ზამთრის სეზონისათვის. სასამ კონკრეტულად ვიტყოდი ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, მინდა მკითხველებს შევახსენო, რომ ამჟამად ჩვენი დედაქალაქი წამში იღებს 10.600 ლიტრ წყალს (გასულ წლებში ეს ციფრი 7.500-9.500 ლიტრის ფარგლებში მერყეობდა), აქედან წამში 8.500 ლიტრს იძლევიან არაგვის ხეობის სათავე ნაგებობის წყალსადენები, ხოლო დანარჩენ 2.100 ლიტრს — სამგორის წყალსადენის სადგური იძლევა. ეს ციფრები, რა თქმა უნდა, მაქსიმალურია.

სამწუხაროდ, მიუხედავად დიდი ეფისა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ აღმოვფხვრეთ წყლის მაქსიმალურ და მინიმალურ მაჩვენებლებს შორის დიდი სხვაობა, ზმირად მინიმალური მაჩვენებელი — დედაქალაქისათვის წყლის მიწოდება წამში 6.100 ლიტრამდე ეკვრა; 4.500 ლიტრის ქვეშ წამში დიდ გავლენას ახდენს მომარაგებაზე.

მაგრამ არაგვის ხეობის წყალსადენების გაერთიანების (უფროსი თ. ივანიშვილი) და სამგორის წყალსადენის სადგურის (უფროსი გ. ფიჩხაია) კოლექტივები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უახლოეს ხანში რაც შეიძლება სტაბილური გავხადოთ წყლის დებიტი. მარტო მიმდინარე წლის 15 ოქტომბრიდან ნოემბრის ბოლომდე ნატახტარსა და ბულაჩაურში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად წყლის დებიტმა წამში 915 ლიტრით იმატა. მოკლე ხანში საგურამოს, ნატახტრის, სამგორის სადგურებში გახსოვრეთ ილებული ღონისძიებებით საერთო დებიტს დამატებით წამში 450 ლიტრი წყალი შეემატება.

კაპიტალურად შეკეთდა სამგორის წყალსადენის პირველი და მეორე ფილტრები, მოეწყო ე. წ. წინა ფილტრი სათანადო ტომუნიკაციებით, ოთხი გამწმენდი აერეტორი დადაკეთდა ჩქარ ფილტრებად, ამით სამგორის წყალსადენის წარმადობა გაიზარდა 2.100 ლიტრამდე.

ბევრი სიახლეა სხვა სადგურებშიც. ჩატარდა მდინარე არაგვის მიერ სადრენაჟო ქსელის გარეცხვის სწინააღმდეგო სამუშაოები, ნალექებისაგან გაიწმინდა 300 ათასი კუბური მეტრი ტევადობის წყალსაცავი და საინფორტრაციო მოედანი, ხოლო ახლახან დამთავრდა მუხიანის წყალსადენისა და ბულაჩაურის მარჯვენა ნაპირის საინფილტრაციო მოედნების წესრიგში მოყვანის სამუშაოები, აქვე მეოთხე წყალსადენის ინტენსიფიკაციით ქალაქამდე დამატებით მიიღო 400 ლიტრი წყალი წამში; მოკლე ხანში დამთავრდება 600 ათასი კუბური მეტრი ტევადობის წყალსაცავ-სხლეტარის მშენებლობა საგურამოში, რაც საშუალებას მოგვცემს მოქმედ საინფილტრაციო მოედნებზე შეუფერხებლად დავუშვათ საჭირო რაოდენობის სუფთა წყალი, რითაც ნაკვეთრად გაუმჯობესდება ყამირი წყლების ხარისხიანობა. ნატახტარის წყალშემკრებ ნაგებობათა ტერიტორიაზე ყამირი წყლების გამდიდრებისათვის განვაგრძობთ საინფილტრაციო მოედნების მშენებლობას და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა ეს ღონისძიება იმიტომ ტარდება, რომ რაც შეიძლება სტაბილური გავხადოთ წყლის მაქსიმალური დებიტი, შეუფერხებლად მოვამარაგოთ თბილისის მოსახლეობა, საწარმო-დაწესებულებანი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ საქმეში ჯერჯერ ნაკლოვანებები. პირველ რიგში ეს ითქმის ქალაქის გარე მიკრორაიონებზე, რომლებიც წყალს გრაფიკის მიხედვით იღებენ. ამჟამად გრაფიკზე გადავანილია საბურთალოს მასივის, ვარკეთილის ზედა პლატოს, ღუნინის რაიონის ლოტკინის დასახლების მოსახლეობა. ჩვენ ვფიქრობთ არა მარტო დავიცვათ დადგენილი გრაფიკი, არამედ ვიბრძვით იმისთვის, რომ წყლის მიწოდების დღეღამური დადგენილი გრაფიკი რაც შეიძლება გავახანგრძლივოთ.

მაგრამ ეს „გრაფიკული უხერხულობა“ ალბათ არ იქნებოდა, რომ დედაქალაქის მოსახლეობა ხაწარმოდაწესებულებების კოლექტივები კონსიმიერად, მომჭირნედ ხმარობდნენ სასმელ წყალს. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ასეთ ციფრებს. დადგენილი ნორმით დედაქალაქში ერთ ოჯახზე დღეღამეში 250 ლიტრი წყალი მოდის, ეს ნორმა ჩვენ ფაქტიურად 342 ლიტრამდე გავზარდეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. თუ წყლის კომპლექსურ მიწოდებასაც ჩავთვლით (კომპლექსურ მიწოდებაში ვგულისხმობთ საწარმო-დაწესებულებების მომარაგებასაც), მაშინ გამოვა, რომ ყოველი ოჯახი ხარჯავს დაახლოებით 735 ლიტრ წყალს!

ჩვენ კარგად ვიცით, რომ წყლის სტაბილური მიწოდების რეზერვები სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. უნდა დავიცვათ წყლის ხარჯვის რეჟიმი. თუ ამ ნაკლს არ აღმოვფხვრით, თუ მის წინააღმდეგ არ ვიბრძოლებთ შემდგომში მუშაობა უფრო ძნელი იქნება. ამიტომ გადაწყვეტილი გვაქვს რაც შეიძლება მოკლე ხანში სრულ წესრიგში მოვიყვანოთ შიდა ქსელი (დიდი წყლის ფუჭი დანაკარგები შიდა ქსელის ნაწილობრივი უფარგისობის გამო) და გადაჭრით გავაუმჯობესოთ სამმართველოსთან შექმნილი წყლის უყაირათო ხარჯვისა და ეონვის წინააღმდეგ მებრძოლი ინსპექციის მუშაობა. უკვე პრაქტიკაში შემოვიღეთ და სისტემატურად გატარებთ რეიდებს შიდა ქსელის შესამოწმებლად. ახლახან, მაგალითად, შეგამოწმეთ 200-ზე მეტი საწარმოდაწესებულების, კომუნალურ-საუფლებო, კოოპერატიული და კერძო მობინადრეთა სახლების შიდა ქსელი და გამოვლინდა, რომ თურმე აქ დღეღამეში იკარგება 4.250 კუბური მეტრი სასმელი წყალი.

იმედია დედაქალაქის მოსახლეობა ზამთრის ამ სეზონში უფრო მტკიცედ დაიცავს წყლის მოხმარების რეჟიმს და ამით ხელს შეუწყობს ჩვენს შეუფერხებელ მუშაობას.



წყალი ზამთარში

ვხვარჯოთ მომჭირნედ

ფარიკაობა

ხანგრძლივი „ტაივ-აუტი“

ცამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საფარიკაო ბილიკებზე უკანასკნელად ჩატარდა საკვიზირო შეჯიბრება.

და აი ამ დღეებში თბილისი კვლავ მასპინძლობდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მუშაკტერებს, რომლებიც ისევ თასის გათამაშებაზე შეიკრიბნენ — ამჯერად სპორტის სასახლეში.

ტურნირი ტრადიციულად ხმლით მოფარიკაკეებმა გახსნეს. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით მინსკელი ვ. სიდიაკის გამარჯვებაზე.

რაპარისტ ქალთა ასპარეზობაში თავი გამოიჩინა ტალინელმა მოფარიკავემ, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ს. ჩირკოვამ.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ვალთა ტურნირიც, მინსკელმა ა. რომანკოვმა, ფინალში ოთხი გამარჯვება მოიპოვა. მისი მთავარი მეტოქე იყო ნოვოსიბირსკელი ა. კოტიშევი, რომელსაც სამი მოგება ჰქონდა. პირველობის ბედი მათ ორთაბრძოლაში გადაწყდა. აქ უძლიერესი ა. რომანკოვი იყო და თასიც მას დარჩა.

დაშნით მოასპარეზეთა ტურნირის ფინალში სამმა მოფარიკავემ — სპორტის ოსტატმა ვ. ბოკუნმა (ბელორუსია) და ს. მატვეევმა (რუსეთის ფედერაცია), აგრეთვე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, უკრაინელმა ს. პარამონოვმა სამ-სამი ბრძოლა მოიგეს. გამარჯვებული გამოვიდა ბოკუნი, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო მატვეევს.

გუშინ საღამოს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა გუნდური ბრძოლები. თასი მოიპოვა რუსეთის ფედერაციის გუნდმა, რომელმაც ფინალში მოუგო ბელორუსის ნაკრებს. საქართველოს მოფარიკავეები გამოვიდნენ მეოთხე ადგილზე.

ლ. მგალობლიშვილი.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი

„მოღალული“ ეტლი

როდესაც მეშვიდე ტურში გაფრინდა ვეშეი-მატვე